სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/09

ქ. თბილისი 28 ოქტომბერი 2020

მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სახელფასო ნიხრის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 თებერვლის №01-05-04/62 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2020 წლის 28 თებერვლის №01-06-02/02 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. დამტკიცდეს მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საათობრივი ანაზღაურების ნიხრი და ერთი აკადემიური საათის ღირებულება განისაზღვროს 15 ლარით;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**